პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 54 (18596) შაბათი, 5 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ინფორმაცია საბერძნეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ვიზიტის შედეგები და აღნიშნა, რომ ისინი სახავენ მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო უშიშროების, სსრ კავშირსა და საბერძნეთს შორის ურთიერთგაგების კლიმატის შექმნის, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის ურთიერთობის თანამიმდევრული განვითარების ინტერესებისათვის ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების ახალ პერსპექტივებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა წინადადებანი კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ, რომლის მიზანია დისციპლინის განმტკიცება ტრანსპორტზე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის უსაფრთხოების უკეთ უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეთა დარგში საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების მთელი რიგი სხვა საკითხები.

ბათუმის ნავსადგური: მუშაობის ზუსტი რიტმი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. გადაწყვეტილია 0,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდეს უცხოეთში ტვირთის გადაზიდვის გეგმა და საკაბოტაჟო ცურაობა დავალების გადამეტებით გადაზიდოს 10 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტვირთის გადამუშავებას. გეგმის გადამეტებით გადამუშავებენ 50.000 ტონა სახალხო სამეურნეო ტვირთს, შრომის ნაყოფიერებას დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე 0,8 პროცენტით გაზრდიან.

საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა იანვრის დავალება. ნავსადგურში შემოსული გემების გადმოტვირთვა და დატვირთვა ძირითადად გრაფიკის გასწრებით მიმდინარეობს. დიდი შრომის ნაყოფიერებითა და სანიმუშო დისციპლინით გამოირჩევა გამსახელებული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი რომან კობახიძე.

„სამუშაო დროის ყოველი წუთი — შრომის ნაყოფიერებას“ — ასეთია ბრიგადის დევიზი.

სურათზე: მოწინავე მექანიზატორი დოკერები ალექსანდრე კოჩურანი, ალექსანდრე შჩერბაკოვი და გენადი მალაკმაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკა

...და აი, გარდაბნის რაიონში კვლავ „ღია კარის დღეა“. ისევე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის მუშაობის დღეებში, მისმა მეურნეობებმა ფართოდ გაიღეს შემოქმედებითი აზრის, მოწინავე გამოცდილების, საქმის გაძღოლის პროგრესული მეთოდების ლაბორატორიების კარი. სიტყვა „ლაბორატორია“ შემთხვევით როდია დაკავშირებული მეურნეობრიობის ცნებასთან: მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე რაიონში ხორციელდება ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კომპლექსური პროგრამა. ამ გამოცდილებითა და თანამედროვე პირობებში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობის სხვა ასპექტებით დაინტერესდნენ მოძმე აზერბაიჯანში. 26 თებერვალს გარდაბნის რაიონში ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების დიდი ჯგუფი, რომელსაც აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. მამედოვი მეთაურობს.

უაღრესად გულითადად შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სტუმრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თთობირ-სემინარში „რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ჩამოყალიბების პრაქტიკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

თთობირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმ ჯ. ი. პატიაშვილმა. თთობირის პროგრამამ სტუმრებს წარმოუდგინა რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის უკლებლივ ყველა მხარე და ასპექტი.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების საქმიანობის პირველ შედეგებს მიუძღვნა თავისი მოხსენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ვარძელაშვილმა. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ბაზაზე რაიონის სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციაში პარტიის რაიკომისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების როლის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. მ. ბოკერიამ. სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ფუნქციონერების პირობებში რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელებაში მათ ადგილს შეეხო თავის მოხსენებაში გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. დაშდამიროვი. გორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. ი. ხუციშვილმა გააშუქა აგროსამრეწველო დარგებისადმი ხელმძღვანელობის გამოცდილება. გარდაბნის რაიონის მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ვ. ვ. ბებიაშვილმა, მ. ტ. გასანოვმა და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს მეცხოველეობისა და მებოსტნეობის პროდუქტების სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის, ინიციატივის, სამეურნეო დამოუკიდებლობის სტიმულირების, მეურნეობრიობის ახალ პირობებში დისციპლინის განმტკიცების გამოცდილება. ახლახან რესპუბლიკაში შექმნილი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ამოცანებსა და მიზნებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

ეს მოხსენებები და გამოსვლები მრავალმხრივი თვალსაჩინო ინფორმაციით შეავსეს ჯანდარის მეცხოველეობისა და გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების, თელეთის მერძევეობისა და კუმისის მებოცვრეობის კომპლექსების, კრწანისის სასათბურე კომბინატის მუშაკებმა. ამ მეურნეობებს დათვალიერება გათვალისწინებული იყო გარდაბნის თათბირ-სემინარის პროგრამით. სტუმრები ეწვივნენ აგრეთვე კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების სექტორის გამგე ნ. მ. ტიშჩენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე და გ. ს. მამაცაშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ზ. გ. აბდულაევი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეურნეობათშორისო კოოპერაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ს. პროსინი, საქართველოს სსრ მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები გ. ბ. გადელია, შ. ვ. ეცადაშვილი, დ. ე. სარიშვილი, თ. კ. ჯაბადარი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — მ. ი. ალიევი, მ. ა. ასკეროვი, ტ. ხ. ორუჯევა, ხ. გ. ქერიმოვი, ი. შ. შამიევი.

საქინფორმის კორესპონდენტთა თხოვნით სტუმრებმა მათ გაუზიარეს გარდაბნის რაიონში ყოფნის შთაბეჭდილებანი:

ს. ბ. სალიმოვი — პარტიის კუბის რაიკომის პირველი მდივანი:

— ჩვენს რაიონში 27 საბჭოთა მეურნეობაა, აქედან 21 რენტაბელურია. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — აგროსამრეწველო გაერთიანებაში შესული მოწინავე მეურნეობების სახსრებით დავეხმაროთ ჩამორჩენილებს. და ამ საქმეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ცენტრალიზებული ფონდების შექმნა, როგორც ეს თქვენს რესპუბლიკაში ხდება. სახსრების ნაწილს მოვახმართ მეცხოველეობის აღმავლობას, ნაწილს — სოციალურ საკითხთა გადაწყვეტას.

— აგროსამრეწველო გაერთიანებები ჩვენში მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარში შეიქმნა. თუმცა გვქონდა საკუთარი პრობლემები, სიძნელეები, მაგრამ მიუხედავად ამისა პირველი ნაბიჯები გვიჩვენებს სიახლის ეფექტიანობას: მკაფიოდ გამოიკვეთა გაერთიანებაში შემავალი ყველა პარტნიორის ტენდენცია — მიიღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს. გარდაბნის თათბირ-სემინარმა საშუალება მოგვცა უკეთ გაგვერკვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის პრობლემები, უფრო მკაფიოდ წარმოგვედგინა წარმოების ყველა ეტაპზე აგროსამრეწველო კომპლექსის რგოლების მუშაობა.

* * *

26 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირ-სემინარის მონაწილეებს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე.** იგი გულითადად მიესალმა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა იმ ინტერესისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობისადმი და ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა აგროსამრეწველო კომპლექსის ჩასახვა-ჩამოყალიბება.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების რომ შევუდექით, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, თავდაპირველად ზოგადოებრივ მეურნეობებში უადრესად მცირე იყო შრომის ანაზღაურება.

ადამიანები უნდა დაგვერწმუნებინა პოზიტიური ცვლილებების შესაძლებლობაში, დაგვეინტერესებინა ექსპერიმენტის იდეით. სწორედ ამატომაც დავიწყეთ სტიმულირების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვით, შემდეგ კი თანდათანობით განვახორციელეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი სფეროს რეორგანიზაცია და რეკონსტრუქცია.

უფრო რთული საკითხები წყდებოდა მომდევნო ეტაპზე, როცა ექსპერიმენტი გასცდა ამ რაიონის ფარგლებს, როცა საქმეში ჩაებნენ საქართველოს ისეთი წამყვანი რაიონები, როგორიც არის მახარაძის რაიონი. იგი, როგორც მრავალდარგოვანი, მოწინავე რაიონი ბევრად განსაზღვრავს რესპუბლიკის სახეს. აქ წარმატებით გამოვცადეთ ის ფორმები და ხერხები, რომლებიც ეფექტიანი გამოდგა რაიონთა დიდი ჯგუფის პირობებში.

რაიონულ რგოლში მართვის ახალი მექანიზმების ფორმირების მესამე ეტაპზე, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია გარდანის რაიონის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის ინიციატივასთან და ძიებასთან, შეძელითი შეგვექმნა მეურნეობრიობის ახალ პირობებში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების გზების მოღელი. ეს გზები გადის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოებასთან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და წარმოების მიღწევების შეერთების სფეროში. ერთი რაიონის პირობებში იქმნება პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და ამრთული, არსებითად, შეუსწავლელი პროცესის მართვის თავისებური პოლიგონი.

შეეხო რა პარტიის რაიონული კომიტეტის როლს რაიონ ულ რგოლში მართვის მექანიზმის დახვეწაში, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შემდეგ გააანალიზა გაერთიანებების ცენტრალიზებული ფონდების შექმნის პროცესი და შესაძლებლობანი, რომლებსაც ისინი მეურნეობებს უქმნიან.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მეორე, ფრიად არსებითი უპირატესობა ის არის, რომ მისი მეობებით რაიონულ რგოლში იქმნება სპეციალისტთა — პროფესიონალთა სტაბილური კოლექტივი, რომელიც გაბედულად და კომპეტენტურად წყვეტს მათს მოვალეობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ახლა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ახალი ეტაპის წინაშე დგას. იმის მიუხედავად, რომ რაიონ ულ რგოლში უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული კომპლექსი, უწყებრიობა ჯერ კიდევ იჩენს თავს. ვერ შეეძელით ბოლომდე დაგვეკავშირებინა სოფლტექნიკის, წყალთა მეურნეობის ინტერესები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამოცანებთან. მათი მეტი ინტეგრაციის მიზნით რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროთა, სახსოფლტექნიკის ბაზაზე შეიქმნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომიტეტი. მასში შემავალი ყველა ქვეგანაყოფის საქმიანობა ხელს შეუწყობს მთავარი მიზნის მიღწევას — მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდებას, ყველაზე რაციონალური საშუალებებით მაღალი საბოლოო შედეგების უზრუნველყოფას.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს გააცნო კონკრეტული მოხაცემები, რომლებიც ცხადყოფს რესპუბლიკის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაობის ეფექტიანობას. მათს საქმიანობაში ჩანს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის აქტიურობის, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ზრდის მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია.

სტუმრებს აცნობეს, რომ ანალოგიური მუშაობა წარმოებს მრეწველობის მართვის სრულყოფისთვისაც. სამაგალითოდ მოიყვანეს ფოთში შექმნილი ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მართვის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება, რომელიც წარმატებით ახამებს რეგიონალურ და დარგობრივ ინტერესებს. გაერთიანების მეთხუთმეტ ვძლევთ უწყებრიობასა და კუთხურობას, უზრუნველყოფთ საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

აი უკვე წელზე მეტია, რაც გაერთიანება კარგ შედეგებს აღწევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბაშისა და სხვა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა ორგანიზაციის ამ გამოცდილების საფერო რესპუბლიკაში ფართოვდება, და ქალაქიც ვრცელდება. ამ პროცესის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია იმ ხელმძღვანელთა სწრაფი შემოქმედებითი ზრდა, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ ენდობიან, ბევრს ელიან მათგან.

ძიების ატმოსფეროს შექმნა ადვილი როდია. საჭიროა, რომ ადამიანები შეესაბამებოდნენ დროის მაღალ მოთხოვნებს. საჭიროა მუშაობის ისეთი სტილი, რომელიც უზრუნველყოფს ფხიზელ, თვითკრიტიკულ მიდგომას საკუთარი თავისადმი, ადამიანებისადმი, საქმისადმი.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს გაუზიარა ახლახან რესპუბლიკაში განხორციელებული პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების საქმიანობის სისტემური ანალიზის გამოცდილება, რომლის მიზანია ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობის უზრუნველყოფა. ძიება, რომელიც ჩვენთან წარმოებს, შემოქმედებითი ატმოსფერო, თქვა დასასრულ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მომძე აზერბაიჯანსაც ახასიათებს. დღეს ყველგან იქმნება შემოქმედებითი და შთაგონებული შრომის პირობები, რომლის მეოხებით შეძლებთ დავძლიოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვიშლის ხელს.

ჩვენი რესპუბლიკების მშრომელთა მეგობრობა და ძმობა ხორცს ისხამს იმ კონკრეტული თანამემოქმედებით, რომლის მაგალითი შეიძლება იყოს ჩვენი ახლანდელი შეხვედრები საქართველოს მიწა-წყალზე. ტრადიციული გახდა ერთობლივი გეგმების, ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება სულ სხვადასხვა საკითხზე. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მეგობრობისა და ძმობის, ურთიერთპატივისცემის ტრადიციები, უეჭველია, კვლავაც განვითარდება, გაღრმავდება და განმტკიცდება. ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანელ ამხანაგთა ჩამოსვლას ისეთი ავტორიტეტიანი შემადგენლობით საეტაპო მნიშვნელობა აქვს. უახლოეს მომავალში ჩვენც გეწვევით თქვენ, გულმოდგინედ და ყურადღებით შევისწავლით თქვენს გამოცდილებას, ვისწავლით თქვენგან.

მომმე აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ა. მამედოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისთვის, თქვა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში შეძენილი გამოცდილება კარგ სამსახურს გაუწევს აზერბაიჯანის სსრ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნას.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების სექტორის გამგე ნ. მ. ტიშჩენკო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ქ. ქ. მარტვილი, ლ. ლ. ზაქაიძე და გ. ს. მამაცაშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ზ. გ. აბდულაევი, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გაძლიერებულ ყურადღებას!

ფულს ზოგავს... წყალი

განმარტავს წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და მისი გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ნაკაანი:

— ფოთელთა მაგალითი ნიშანდობლივია განსაკუთრებით ისეთი საწარმოების უგერგილობასთან შედარებით, როგორიც არის თბილისის სპირალო ქარხანა. აქ მარტო შარშანდელი ექვსი თვის განმავლობაში 35 ათასი კუბური მეტრი წყალი გადახარჯეს, რაც ქარხანას 14 ათასი მანეთი დაუჯდა. მაგრამ საქმე მარტო ფული როდია, მთავარია ადამიანისათვის ზრუნვა. დიახ, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ამას ივიწყებს. თითოეული დაზოგილი კუბური მეტრი წყალი ხომ ქალაქს ორი მცხოვრების სადღეღამისო ნორმა წყალს უზოგავს. შესაბამისად ყოველი ზედმეტად გადახარჯული კუბური მეტრი წყალი, ალბათ, ამავე საწარმოს მუშებს საყოფაცხოვრებო კომფორტს უფარესებს. სწორედ ამ პოზიციიდან უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ 1982 წლის მეორე ნახევარში თბილისის 57 სამრეწველო საწარმომ წყლის გადახარჯვისათვის 254 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადა.

ბუნებამ საქართველოს უხვად უბოძა წყლის რესურსები. ჩვენში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მისი მარაგი ქვეყნის მარაგთან შედარებით საშუალოდ ოთხჯერ მეტია. მაგრამ ხვალინდელ დღეზე ფიქრით ისიც უნდა გავთვალისწინოთო, თუ როგორ გავუფრთხილდეთ სიმდიდრეს. რა თქმა უნდა, ეს თუნს მხრივ ხარჯებსაც მოითხოვს. მაგალითად, დიდძალი სახსრები დაიხარჯა საბრუნი წყალმომარაგების აგებაზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 2 საგალვანიზაციო ფაბრიკაში. მაგრამ ეს ნაზღაურდება იმით, რომ ყოველ საათს სისტემა ზოგავს 670 კუბურ მეტრ სასმელ წყალს. ასეთი რაოდენობის წყალს შეუძლია ყოველდღიურად დაკმაყოფილოს ამ ფაბრიკის სიდიდის ექვსი საწარმოს მუშათა მოთხოვნილება.

მარტო წყლის საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯები რესპუბლიკაში ამ ხუთწლედში შარშანდელთან შედარებით ორნახევარჯერ გაიზრდება. სუფთა წყალი — ეს არის მოშრომიალე ტყეები, ტყეები კი სუფთა ჰაერია. (საქინფორმის კორ.).

ჩვენი გამოცდილება ჩვენი ძმების კუთვნილებაა

ს. ბ. ვერდიევი — აგდამის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე:

— ბევრი სასარგებლო რამ შეგიტყვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსში სხვა პარტნიორების ურთიერთმოქმედების პრინციპების შესახებ. იგი ეფუძნება ურთიერთსასარგებლო პირობებს. ეს საშუალებას გვაძლევს უმტკივნეულოდ და სწრაფად გადაეწყვეტოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების წამოჭრილი საკითხები. მე განსაკუთრებით დავინტერესდი სპეციალისტთა კადრების განაწილების დარგში გორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაობის გამოცდილებით. ჩვენი რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით დავნერგავთ კიდეც გარდაბნელთა გამოცდილებას.

ვ. რ. ბაბილაევი — ზაქათალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე:

— ჩვენ ჩამოვედით, რათა შევისწავლოთ, შევითვისოთ თქვენი გამოცდილება და გამოვიყენოთ იგი შემოქმედებითად, გავიღრმოთ ამ დარგში ცოდნა. გარდაბანში ბევრი ახალი რამ შევიძინეთ. აი, მაგალითად, მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების კავშირი: როგორ ნაწილდება მათ შორის მოგება? მახარაძის რაიონის მშრომელთა მაგალითისამებრ, რომლებმაც საკუთარი სახსრებით აშენეს ჩაის მიკროფაბრიკები, გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს რაიონში ხუთ მეურნეობაში ავაშენოთ ასეთი საწარმოები.

ტ. პ. ალიევი — ლენინორანის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე:

— ჩვენი სასათბურე მეურნეობები ჯერ კიდევ არ გადასულან ბოსტნეულის მთელი წლის განმავლობაში წარმოებაზე. გარდაბნის რაიონის მშრომელთა გამოცდილება, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ ბოსტნეული სათბურებში, პროგრესული და ჩვენ უთუოდ ავითვისებთ ამ ტექნოლოგიას.

ე. ა. ბაბაბარიანი — მთიანი ყარაბაღის აგროხამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

— ჩვენ ჩამოვედით, რათა შევისწავლოთ, შევითვისოთ თქვენი გამოცდილება და გამოვიყენოთ იგი შემოქმედებითად, გავიღრმოთ ამ დარგში ცოდნა. ბევრი ახალი რამ შევიძინეთ. აი, მაგალითად, მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების კავშირი: როგორ ნაწილდება მათ შორის მოგება? მახარაძის რაიონის მშრომელთა მაგალითისამებრ, რომლებმაც საკუთარი სახსრებით აშენეს ჩაის მიკროფაბრიკები, გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს რაიონში ხუთ მეურნეობაში ავაშენოთ ასეთი საწარმოები.

სამშობლოს ჯილდო გადაეცათ

ბარნაული, 4 მარტი. (საკდესი). მეწამულისფრად მორთულა ბარნაულის ქუჩები და მოედნები. რევოლუციურ მოძრაობაში მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტებისა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათი წვლილისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებებისათვის და დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებით ქალაქი დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

დღეს აქ გაიმართა მაღალი ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილი პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომა სხდომა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა შეკრებილთ, ქალაქისა და მხარის ყველა მშრომელს სამშობლოს ჯილდო.

ბარნაული ძვირფასია თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის როგორც სოციალისტური სამშობლოს ნაწილი, აღნიშნა ორატორმა. აქ, ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, იგრძნობა ჩვენი ქალაქის ცხოვრების თანაბარი მაჯისცემა, რომელიც მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომას ეწევა და მჭიდროდ არის შეკავშირებული ლენინური პარტიის გარშემო.

ამჟამად პარტიისა და ხალხის საქმეებისა და ჩანაფიქრების მიზანია პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. ამ მუშაობაში მნიშვნელოვანი ნიშნისეტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი. მან მშრომელთა მთელი ყურადღება მიაპყრო ხუთწლედისათვის ბრძოლის საკვანძო მიმართულებებს, ეკონომიკა შ ი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის. ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებანი და დასკვნები მოწონებით აღიქვეს ქვეყანაში. საბჭოთა ადამიანები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას გონივრულად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი, რათა წინ წასწიონ წარმოება.

ამოცანა ის არის, რომ შესრულდეს ხუთწლედის დაძაბული დავალებანი მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების გაუდიდებლად. ამისათვის საჭიროა უფრო სრულად ავამოქმედოთ წარმოების შინაგანი რეზერვები, უწინარეს ყოვლისა მთავარია, განვამტკიცოთ დ ი ს ც ი პ ლ ინა, ჯეროვანი წესრიგი დავამყაროთ ყველა უბანზე.

ი. ვ. კაპიტონოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ბარნაულის დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში ჯილდო მიაბნია ქალაქის დროშას.

სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ ბარნაულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. მ. სიდოროვი, სკკპ ალტაის საბჭოს კომიტეტის პირველი მდივანი ნ. თ. აქსიონოვი, წარმოების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ომის და შრომის ვეტერანები. მათ განაცხადეს, რომ ალტაის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სავსებით იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება.

ბაზრობენ ხოლმე

ბაზრობენ ხოლმე, „უკვალოდ გაქრა, როგორც ქვიშაში წყალი“, მაგრამ „ფოთიელექტროაპარატისათვის“ „ქვიშაში დაკარგული“ წყალი მხოლოდ მოგებას იძლევა. აქ ისარგებლეს იმით, რომ გრუნტის წყლები დედამიწის ზედაპირიდან ახლოა განლაგებული და ტექნიკური საჭიროებისათვის იყენებენ მათ. ნახმარი წყალი გაივლის საწმენდ ნაგებობებს, დრენაჟის სისტემას და კვლავ მიწისქვეშა ჰორიზონტებს უბრუნდება. ასეთი ცირკულაცია არ არღვევს ეკოლოგიის მიერ დადგენილ ნორმებს, პირიქით, აბრუბს მიწის ზედა ფენას.

საწარმო უნარიანად იყენებს ბუნების უკუღმართობას — კოლხეთის ნიადაგის დაჭაობიანებას და წლის განმავლობაში ზოგავს დაახლოებით ათი ათას მანეთ წყლით სარგებლობის დასაფარავ ხარჯებს. სასმელი წყლის დეფიციტის პირობებში ასეთმა გერგილანმა მიიგზომამ გააუმჯობესა მდგომარეობა ქარხნის მუშათა დაბაში, სადაც საჭირო აღარ არის წყალმომარაგების ახალი ხაზების მშენებლობა.

ადმინისტრაციის თხოვნით მიმდინარე წელს ქარხანას შეუმცირეს წყლით სარგებლობის ლიმიტი. ცხობილია, რომ ლიმიტის გადაჭარბებით დახარჯული წყლისათვის ერთისამად მეტ გადასახადს ანდევნებენ, მაგრამ ქარხნის ინჟინრები დარწმუნებული არიან გრუნტის წყლების ჩაკეტილი ცირკულაციის მთ მიერ შემუშავებული სისტემის საიმედოობაში. ეს დაადასტურეს ნოვოჩერკასკელმა დამპროექტ ე ბ ლებმაც, რომლებმაც იგი საწარმოს მომავალი რეკონსტრუქციის პროექტში შეიტანეს.

მეცნიერთა დიდი პასუხისმგებლობა

რაც უფრო დიდად აფასებს პარტია მეცნიერთა ნაშრომებს, მით უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს იგი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში მათი როლის ამაღლებას. ქვეყნის წინაშე მეცნიერების მოღვაწეთა ამ მაღალი პასუხისმგებლობის შესახებ გაიმართა სხვაისი მოსკოვში 3 მარტს დ

ჩემი ამხანაგები კომუნისტები არიან

ნოდარ დუმბაძე,
ლენინური პრემიის ლაურეატი

მეგობრობა... მოკლე, მაგრამ ძალზე ტევადი და წმინდა სიტყვაა. ჩემი აზრით, ყოველი ადამიანის ბედში მჭიდროდ არის გადაწნული ამბები, ფაქტები, რომლებიც ამ ცნების ღრმა არსს გვიჩვენებენ. ჩვენ ხუდამ გვახსოვს, მთელი სიცოცხლის მანძილზე გულით ვატარებთ პირველ მოგონებებს თანატოლ მეგობრებზე, ერთგულების პირველ ფიცს, როცა მომავალი მოგზაურობის სამყაროს, საოცარი თავგადასავლისა და გმირობის კრიალა და ულრეტლო გზად გვესახებოდა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ გზით ერთად ვიარეიდით. ცხოვრებას თავის აღმაფრენებითა და დაცემით, ჭირითა და ლხინით კორექტივები შეეჭქონდა ჩვენს იმედებში და ოცნებებში.

მაგრამ ახლა, როცა ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე, როცა ბინსენენ ყოველივე ნახულსა და ნაგრძნობს, უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა: სწორედ მეგობრობა აერთიანებდა ჩემი თაობის ადამიანებს უმძიმესი განსაცდელის ჟამს. მაშინაც, როცა ჩვენ, საბედისწერო ორმოციანი წლების ათი წლის ბიჭუნები ტალახიანი შავი პურის ნატეხისათვის გრძელ რიგებში ვიდექით. მაშინაც, როცა ვისწავლეთ უჩუმრად ცრემლების ყლაპვა და მამების ნაცვლად ვმუშაობდით სახნავში თუ ქარხანაში. მაშინაც, როცა ერმანეთს ვუზიარებდით ჩვენი ნაწარმოებების გამოქვეყნების პირველ სიხარულს. საოცარსა უკანასკნელ დღემდე არ დამავიწყდება თბილისის უნივერსიტეტში ის წუთები, როცა ახალგაზრდა მწერლების გაერთიანებაში „პირველ სხივში“ ჩემი ამხანაგები ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტის ნოდარ დუმბაძის პირველ ლექსებსა და მოთხრობებს არჩევდნენ. არჩევდნენ გულმოდგინედ, მხურვალედ, მკაცრად და მგზნებარედ. ამ ლიტერატურული წრის ბევრი ჩემი თანამოკალმე თვალსაჩინო პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალის რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე და ნამდვილი კომუნისტი გახდა.

კომუნისტი... ძნელად თუ იპოვი სადმე სხვა ამგვარ სიტყვას, რომელიც მჩაგვრელების, იმპერიალიზმის იდეური ლაქიების ასეთ სიძულვილს იწვევდეს. კომუნისტები კვლავინდებურად მანამდე არნახული ჯიშის ადამიანებად რჩებიან.

კომუნისტი... ცხოვრებამ მას უდიდესი პრივილეგიები მიანიჭა. რით გამოიხატება ეს პრივილეგიები? თუ ვინმეს ბარიკადებზე უნდა აეფრიალებინა რევოლუციის დროშა და სიმართლისათვის დაღუპულიყო, ყველაზე წინ კომუნისტი მიდიოდა! თუ ვინმე, სამშობლოს სახელისა და ღირსების დასაცავად ეშაფოტზე უნდა ასულიყო, სიცოცხლეს უწინარესად კომუნისტი სწირავდა! თუ ვინმე ულუმპაპაროდ რჩებოდა, თავისი ლუკმა მისთვის უწინარეს ყოვლისა კომუნისტს უნდა გაეყო! თუ მეგობარს, ამხანაგს მტრის ტყვია ემუქრებოდა, მას საკუთარი მკერდით კომუნისტი უნდა დაფარეოდა!

აი, როგორი პრივილეგიები მოიპოვეს კომუნისტებმა.

სიტყვა „კომუნისტი“ გმირობის, თავდადების, მეგობრობის, სამართლიანობის, სისადავის, პირდაპირობის, შეურიგებლობის, პატრიოტსების, სიკეთისა და ზნეობრივი სიწმინდის სინონიმი გახდა. ყველა დროში კომუნისტების მთავარი დევნილი, მათი არქიმედის ბერკეტი იყო: ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის! საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, მთელი ხალხისა და ყოველი ცალკეული ადამიანების ინტერესები, — აი, რა ასულდგმულებს ჩვენს პარტიას, რა ასულდგმულებთ კომუნისტებს. და ხალხიც თავის მებრძოლ ავანგარდს უსაზღვრო ნდობით უპასუხებს. ცხოვრება თითქოს გვცდისო, კომუნისტების წინაშე სულ ახალ-ახალ ამოცანებს სახავს. სერიოზული გამოცდა მოუწყო მან საქართველოს კომუნისტებსაც.

შარშან დაუნდობელი სტიქია დაატყდა თავს ქართულ მინაწყალს. მდინარეებმა ნაპირები წალეკეს, დასავლეთ საქართველოში ნიაღვარმა გადარეცხა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

გრიგალი, კოკისპირული წვიმები და სეტყვა დაატყდა თავს კახეთს, კასპის, დუშეთის, მცხეთის, გორისა და სხვა რაიონებს. კომუნისტები, როგორც ყოველთვის, პირველნი იყვნენ სტიქიასთან ბრძოლის ფრონტზე, პირადი მაგალითით რაზმავდნენ მთელ რესპუბლიკას დაზარალებულთა დასახმარებლად. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ — წარწერილი იყო სატვირთო მანქანებზე, რომლებსაც დაზარალებული რაიონებისათვის სურსათი, საკვები, მედიკამენტები მიჰქონდა. კომუნისტური წრთობა, მეგობრობა და ძმობა დაგვეხმარა სტიქიით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაში. ჩემი მეგობრები გალავნად იდგნენ.

მეგობრობა, — მოკლე მაგრამ ტევადი, წმინდა სიტყვაა. ზოგჯერ ხშირი და დაუფიქრებელი ხმარების გამო ეს სიტყვა თითქოს უფასურდება. პირადად მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ანდაზა „ას მანეთს ასი მეგობარი გერჩივნოსო“. და თუმცა ზნეობრივ-ეთიკური კოდექსი ქართველებისა, რომლებმაც დედის რძესთან ერთად შეითვისეს რუსთაველის სიტყვები მეგობრობაზე, ზნეობრიობის, სიკეთის კატეგორიებზეა დაფუძნებული, მაინც, მე მგონია, ადამიანს არ შეუძლია იმეგობროს, მაშასადამე, სული და გული მიუძღვნას ასობით და ათასობით ადამიანს. მე, როგორც მწერალი, ხშირად ვხვდები ბევრ ჩემს მკითხველს, მრავალი წელია მიმოწერა მაქვს მათთან, გულით მინდა, ყოველ მათგანთან ვიმეგობრო, მაგრამ ვერ ვიტყვი, ასი მეგობარი მყავსო-მეთქი. მე .საინტერესოდ მიმაჩნია ძველი ჭეშმარიტება, რომელიც ამტკიცებს, კაცს სულ სამი მეგობარი უნდა ჰყავდესო. ერთი — თანატოლი, მეორე — თავისზე უმცროსი და მესამე — თავისზე უფროსი. ჩემი რომანების გმირებს სწორედ ასეთი ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ამაში მე სამი თაობის ურთიერთკავშირის დიდ ადამიანურ აზრს ვხედავ.

მეგობრობა ყოველთვის კონკრეტულია და მინდა საგანგებოდ ვთქვა, რომ ამ ცნების სიღრმისეული აზრი ადამიანთა კონკრეტულ ბედში ისხამს ხორცს. მე მინდა მკითხველებს გავუზიარო ჩემი ცოდნა, ხსოვნა გულისა, ვუამბო ჩემი კომუნისტი მეგობრების ამბავი, ამის მეშვეობით კი გავაცნო ის მთავარი ტენდენციები, რომლებმაც განსაზღვრა ჩემი თაობის ცხოვრების ყაიდა, ჩემი თანამედროვეობის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კრედო.

მინდა დავიწყო გურამ ასათიანით — თვალსაჩინო მწერლითა და კრიტიკოსით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორით, კომუნისტით, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ რედაქტორით. გურამი. ამ ცოტა ხნის წინათ წავიდა ამ ქვეყნიდან და ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენი მეგობრული წრიდან მან პირველმა მიგვატოვა, როგორც მოქალაქემ და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა ადამიანმა. წავიდა ამაღლებული და ნათელი, როგორიც იყო ცხოვრებაში. მე ყოველთვის გულისფანცქალით ველოდი და ვკითხულობდი მის არაჩვეულებრივ სტატიებს, რომლებიც აღსავსე იყო საოცრად ზუსტი დაკვირვებებით, აღმოჩენებითა და სიმართლით. ყოველი ჩემი ნაწარმოების გამოსვლის შემდეგ შიშით ველოდი მის მსჯავრს, ულვაშებში მიჩქმალულ ოდნავ დამცინავ ღიმილს, მის ბრძნულ აზრს. როგორ მჭირდება ახლა მისი ჭკვიანური, ზოგჯერ მართხიზით მწვავე და ამავე დროს ალერსიანი, თანაგრძნობით აღსავსე სიტყვები. მაგრამ სანამ ვცოცხლობთ ჩვენ, გურამ ასათიანის მეგობრები, ისიც ცოცხალია — ძლიერი, შეუპოვარი, მძიმე სენით გაუტეხელი. ჩვენ შემდეგ კი მის ხსოვნას შთამომავალნი გაუფრთხილდებიან, გურამ ასათიანის სიცოცხლეს განაგრძობენ წიგნები და ხალხი, რომელსაც პატიოსნად და ქედმოუხრელად ემსახურებოდა. სწორედ ამით გამოიხატება ჩემი მეგობრის — კომუნისტის უკვდავება.

ჩემი მეორე მეგობარი, ვახტანგ ესვანჯია მრავალ წელს რედაქტორობდა გაზეთ „სამშობლოს“, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის გამოდის. დიდმა ერუდიტმა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ, მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეჩვენებინა სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველებისათვის. დიდი რუდუნებით აგროვებდა ცნობებს ომის გმირებზე, სახოგადო მოღვაწეებზე, მწერლებზე, მხატვრებზე, რომლებიც საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული. მიმოწერა ჰქონდა და ხვდებოდა საზღვარგარეთელ ქართველებს, ჩაჰქონდა წიგნები, საბჭოთა სამშობლოს დაუცხრომელი წარმომადგენელი იყო. ვ. ესვანჯიას პირადმა თვისებებმა, მისმა პარტიულმა მგზნებარებამ და პრინციპულობამ, მისმა ენერგიამ, მისმა გაზეთმა დიდი როლი შეასრულა იმ საქმეში, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მეგობრები გასცნობოდნენ ჩვენს სამშობლოს, დაეხმარა ადამიანებს დაბრუნებოდნენ მამა-პაპათა მიწა-წყალს.

1972 წელს ვახტანგ ესვანჯია ცხაკაიაში გაგზავნეს პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელად. ბევრჯერ ჩავსულვარ დასავლეთ საქართველოს ამ პატარა ქალაქში და მუდამ მიკვირდა, რა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო იქ ჩემმა მეგობარმა ათ წელიწადში. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ გაიზარდა გლეხთა შეძლება, როგორი გადაჭარბებით ასრულებს სამეურნეო გეგმებს ოდესაც ჩამორჩენილი რაიონი. ერთს კი ვიტყვი: რომ იქ აშენდა სამხატვრო გალერეისა და სკოლის შენობები, დაიდგა ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზურაბ ნერეთლის ნამუშევარი მონუმენტური სტელა, აღიმართა შესანიშნავი ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას ძეგლი, განახლდა და რესტავრირებულია თეატრი... რაიკომის მდივნის მუშაობის მეთოდებზე და სტილზე „სოვეტსკაია კულტურაც“ წერდა. მაგრამ ჩემი მეგობარი წინანდებურად თავმდაბალია. ზოგჯერ — მოკრძალებულიც, დაუცხრომლად შრომობს, და არასოდეს არ ივიწყებს ადამიანებს, რომლებსაც პატიოსნად და გატაცებით ემსახურება.

და კიდევ ერთი ჩემი მეგობარი — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი გურამ მგელაძე. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა მან აბაშაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, როცა აქ პარტიის რაიკომის პირველ მდივნად იყო. ეს გახლდათ ცნობილი აბაშური ექსპერიმენტი. ებრძოდა ჩამორჩენილობას, რუტინას, გაბედულად ამკვიდრებდა მეურნეობრიობის ახალ ფორმებს, იბრძოდა, ამსხვრევდა უწყებრივ ბარიერებს, ყოველნაირად ცდილობდა მინისთვის ერთი პატრონი დაებრუნებინა. ახლა, როცა აგროსამრეწველო კომპლექსები მთელ რესპუბლიკაში შეიქმნა, იგი თავის კოლეგებთან და თანამოაზრეებთან ერთად დაუშრომლად მუშაობს იმისათვის, რომ წარმატებით დანერგოს ცხოვრებაში სამინათმოქმედო მეურნეობრიობის ახალი ფორმები. იგი გაბედული, მგზნებარე კაცია და დღენიადაგ კავშირურთიერთობა აქვს მწერლებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან. აი, ერთი ასეთი დეტალი. ამ ცოტა ხნის წინათ მან თითქმის შეუძლებელი გააკეთა და ტრაქტორი შემაძენინა საგურამოში ილია ჭავჭავაძის კარ-მიდამოსათვის. ყინვამ და სეტყვამ დაუაზიანა სახელგანთქმული ზვრები, რომლებიც ჩვენმა დიდმა პოეტმა გააშენა. თითქოს, პოეტის კარ-მიდამოს საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სოფლის მეურნეობასთან. მაგრამ მგელაძეც და ბევრი სხვა კომუნისტიც ახალი ფორმაციის ხელმძღვანელები არიან. მათ რესპუბლიკის წარმატებული განვითარება შეუძლებლად მიაჩნიათ ფაქტორების მთელი კომპლექსის — როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული ფაქტორების გაუთვალისწინებლად. ჰოდა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ბედი მათ ისევე აწუხებთ, როგორც სამეურნეო საქმეები.

კომუნისტთა ეს კოჰორტა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მეთაურობს, აი, უკვე ათი წელია, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთაურობს. ამ ბოლო წლებში ამ საქალაქო კომიტეტის ცნობილი დადგენილებების გამოქვეყნების შემდეგ, ბევრ რამეს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს მიღწევებთან, მისი ბალი ალი საერთო-სახალხო საქმეში უფრო მნიშვნელოვანი იყოს. ამ ძნელმა მუშაობამ ჩამოაყალიბა ახალი ტიპის ხელმძღვანელები — პრინციპული ადამიანები, რომლებსაც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია აქვთ. სწორედ ამ აქტიურობამ, ისევე როგორც ისტორიისა და ლიტერატურისადმი ღრმა ინტერესმა, განაპირობა ის, რომ პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანმა მ. მეზრიშვილმა საგურამოს გაუგზავნა ვაზისა და კაკლის ნერგები; ინიციატივა გამოიჩინა, რომ პატარძეულში გახსნილიყო შესანიშნავი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, აღედგინათ კულტურის ძეგლები. ბევრია ასეთი ფაქტი. ისინი დამახასიათებელია ცხოვრების სტილისთვისაც და აზროვნების სტილისთვისაც, ისინი გვიჩვენებენ ხელოვნისადმი პარტიის გულისხმიერ და ყურადღებიან დამოკიდებულებას.

დიდია საქართველოს ზნეობრივი და პოლიტიკური ცხოვრების ძვრები, რომლებიც ამ ბოლო წლებში მოხდა. და ეს, უწინარესად, კომუნისტთა დამსახურებაა. სწორედ ამან მოიყვანა ამ ცოტა ხნის წინათ ჩემი მეგობრები — მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი და კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, ისევე როგორც საქართველოს ბევრი სხვა საუკეთესო ადამიანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

მე ვამაყობ ჩემი კომუნისტი მეგობრებით. ადამიანებისადმი მათი უსაზღვრო ერთგულებით, მათი ვაჟკაცობით და მეგობრობით. რა მშვენიერი სიტყვაა — კომუნისტი!

„სოვეტსკაია კულტურა“.
1983 წ. 1 III.

პარტიული ცხოვრება

დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების გზით

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის იანვრის გეგმა აფხაზეთის მრეწველობამ შესაბამისად 103,6 და 103,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 105,6 პროცენტს მიაღწია. საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ ოჩამჩირის რაიონის კინდღის ბროილერის ფაბრიკას, სასათბურე კომბინატს, გულრიფშის რაიონის ბაბუშარის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას. მარტო გალის რაიონში მიმდინარე გაზაფხულდანვე სასოფლო-სამეურნეო ბრიგადაში შევა კოლხეთის დაბლობის 9.100 ჰექტარი ახალათვისებული მიწები. უკვე ამ ხუთწლედში ახალგაზრდა პლანტაციებიდან ავტონომიური რესპუბლიკა დამატებით 10 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს და 12 ათას ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს მიიღებს. ამკამად, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, სასაქონლო-მრეწველობის ფერმებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში დამზადებული ბევრად მეტი ხორცი, რძე და კვერცხი.

ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში მიღწეული დონე არ აკმაყოფილებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებს, რომლებიც თავიანთ მუშაობას აფასებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის, ამ პლენუმზე და მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემულ მოთხოვნათა პოზიციებიდან.

საქმე ის გახლავთ, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობამ, თუმცაღა წარმატებით გაართვა თავი ხუთწლედის გასული წლების დავალებებს, მაგრამ ზოგიერთ დარგში არ არის მიღწეული შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დადგენილი დონის ზრდის ტემპი.

აღნიშნულ საკითხებზე საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, აღნიშნავდნენ პლენუმის მონაწილეები, საჭიროა უფრო გაბედული ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რიტმული მუშაობა, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების შემდგომი განვითარება.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ვ. ადლეიბის მოხსენება „პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად აფხაზეთის ასსრ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცველი ორგანოების მიერ 1982 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და 1983 წლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით“.

აფხაზეთის კომუნისტებმა, რომელთაც მოქმედების სახელმძღვანელოდ გაიხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართული პლენუმის გადაწყვეტილებები, განსაზღვრეს ახალ-ახალი ამოცანები, რომელთა შესრულებისათვის ბრძოლაში ისინი ფართოდ იყენებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის, აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას.

პლენუმზე ორატორების გამოსვლებში მკაფიოდ გაისმოდა ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა პრინციპული, საქმიანი კრიტიკა.

— თუ არა საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტება, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 90 სამრეწველო საწარმოდან — 35-მა წლიური გეგმის შესრულების მიუხედავად, შეამცირა წარმოების მოცულობა, ხოლო 8 საწარმომ თავი ვერ გაართვა პროდუქციის რეალიზაციის დავალებას, — ითქვა პლენუმზე. ამასთან დაკავშირებით მწვავედ, მაგრამ სამართლიანად იყვნენ გაკრიტიკებული სოხუმის ქიმიური ქარხნის, თევზკომბინატის, ტყვარჩელის შახტსამმართველოს და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

ითქვა ისიც, რომ მთელ რიგ შრომითს კოლექტივებში საკმაოდ ღრმად არ სწავლობენ იმ მიზეზებს, რომლებიც უყაირათობასა და უდისციპლინობას წარმოშობს. ყველაფერი ეს საბოლოო ანგარიშით ძვირად უჯდება სახელმწიფოს. შარშან, გაუთვალისწინებელი მოცდენების შედეგად, ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ სახელმწიფოს 4 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია დააკლო. ხოლო ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევების შედეგად გამოშვებულ იქნა 5.696 ათასი მანეთის წუნდებული პროდუქცია. ასეთი პროდუქციის სარეალიზაციოდ გაგზავნის გამო საწარმოებმა 380 ათასზე მეტი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. საწარმოებში მუშაკთა მიერ სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენების გამო მომზმარებელს დააკლდა 1.421 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. სოფლის მეურნეობაში საქმისადმი ელემენტარული, არამეურნეობრივი მიდგომის გამო, აგრეთვე გაფლანგვა-დატაცების შედეგად გამოწვეულმა ზარალმა 2,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

პლენუმმა პარტიული ორგანიზაციებისაგან, მართლწესრიგის დამცველი ორგანოებისაგან მოითხოვა ვაალძიერონ ბრძოლა სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების, ასევე სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, უყაირათობის და უგერგილობის წინააღმდეგ.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მოითხოვს პარტიულმა კომიტეტებმა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, განამტკიცონ შრომის დისციპლინა და მართლწესრიგი, დღენიადაგ იზრუნონ წარმრების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს: ასამოქმედებელ ობიექტებზე

ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა დაიძლიოს!

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის გენერალური რეკონსტრუქცია 1978 წლის ივნისიდან დაიწყო და არცთუ ისე ცუდი ტემპით. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ საწარმოს განახლება პროექტით გათვალისწინებული დროისათვის — 1980 წლის დამლევისათვის დამთავრდებოდა. დიახ, ვარაუდობდნენ, მაგრამ არ გამართლდა. მიზეზი? — რეკონსტრუქციის პროექტი არ იყო სრულყოფილი. ქარხნის მეორე რიგის მშენებლობას პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდის მიზნით 37 მილიონი კი არა, 63 მილიონი მანეთი სჭირდებოდა. პროექტის გადასინჯვამ, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებამ, რაღა თქმა უნდა, ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადაც გადმოსწია. პროექტის ამ ვარიანტით მშენებლობა 1981 წელს უნდა დამთავრებულიყო.

თავის დროზე ამის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტში“ და ამიტომ, თითქოს, აღარ ღირდა ძველის გახსენება, მაგრამ მდგომარეობა გვაიძულებს: სამწუხაროდ, რეკონსტრუქცია ვერ დამთავრდა, იგი კვლავ ჭიანურდება. შარშან გეგმით მწყობრში უნდა ჩამდგარიყო 12530 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები, ფაქტობრივად კი ამ ციფრმა მხოლოდ 3532 ათასი მანეთი შეადგინა.

ვერ ამოქმედდა № 3 საწარმოო კორპუსი, რომელშიც ურიკების, ძარებისა და სატვიფრო უბნები უნდა განლაგდნენ. კორპუსში არ არის დაგებული იატაკი, ვერ მოება თავი ელექტროდედის რძესთან ერთად შეითვისეს რუსთაველის სიტყვები მეგობრობაზე, ზნეობრიობის, სიკეთის კატეგორიებზეა დაფუძნებული, მაინც, მე მგონია, ადამიანს არ შეუძლია იმეგობროს, მაშასადამე, სული და გული მიუძღვნას ასობით და ათასობით ადამიანს. მე, როგორც მწერალი, ხშირად ვხვდები ბევრ ჩემს მკითხველს, მრავალი წელია მიმოწერა მაქვს მათთან, გულით მინდა, ყოველ მათგანთან ვიმეგობრო, მაგრამ ვერ ვიტყვი, ასი მეგობარი მყავსო-მეთქი. მე .საინტერესოდ მიმაჩნია ძველი ჭეშმარიტება, რომელიც ამტკიცებს, კაცს სულ სამი მეგობარი უნდა ჰყავდესო. ერთი — თანატოლი, მეორე — თავისზე უმცროსი და მესამე — თავისზე უფროსი. ჩემი რომანების გმირებს სწორედ ასეთი ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ამაში მე სამი თაობის ურთიერთკავშირის დიდ ადამიანურ აზრს ვხედავ.

მეგობრობა ყოველთვის კონკრეტულია და მინდა საგანგებოდ ვთქვა, რომ ამ ცნების სიღრმისეული აზრი ადამიანთა კონკრეტულ ბედში ისხამს ხორცს. მე მინდა მკითხველებს გავუზიარო ჩემი ცოდნა, ხსოვნა გულისა, ვუამბო ჩემი კომუნისტი მეგობრების ამბავი, ამის მეშვეობით კი გავაცნო ის მთავარი ტენდენციები, რომლებმაც განსაზღვრა ჩემი თაობის ცხოვრების ყაიდა, ჩემი თანამედროვეობის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კრედო.

მინდა დავიწყო გურამ ასათიანით — თვალსაჩინო მწერლითა და კრიტიკოსით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორით, კომუნისტით, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ რედაქტორით. გურამი. ამ ცოტა ხნის წინათ წავიდა ამ ქვეყნიდან და ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენი მეგობრული წრიდან მან პირველმა მიგვატოვა, როგორც მოქალაქემ და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა ადამიანმა. წავიდა ამაღლებული და ნათელი, როგორიც იყო ცხოვრებაში. მე ყოველთვის გულისფანცქალით ველოდი და ვკითხულობდი მის არაჩვეულებრივ სტატიებს, რომლებიც აღსავსე იყო საოცრად ზუსტი დაკვირვებებით, აღმოჩენებითა და სიმართლით. ყოველი ჩემი ნაწარმოების გამოსვლის შემდეგ შიშით ველოდი მის მსჯავრს, ულვაშებში მიჩქმალულ ოდნავ დამცინავ ღიმილს, მის ბრძნულ აზრს. როგორ მჭირდება ახლა მისი ჭკვიანური, ზოგჯერ მართხიზით მწვავე და ამავე დროს ალერსიანი, თანაგრძნობით აღსავსე სიტყვები. მაგრამ სანამ ვცოცხლობთ ჩვენ, გურამ ასათიანის მეგობრები, ისიც ცოცხალია — ძლიერი, შეუპოვარი, მძიმე სენით გაუტეხელი. ჩვენ შემდეგ კი მის ხსოვნას შთამომავალნი გაუფრთხილდებიან, გურამ ასათიანის სიცოცხლეს განაგრძობენ წიგნები და ხალხი, რომელსაც პატიოსნად და ქედმოუხრელად ემსახურებოდა. სწორედ ამით გამოიხატება ჩემი მეგობრის — კომუნისტის უკვდავება.

ჩემი მეორე მეგობარი, ვახტანგ ესვანჯია მრავალ წელს რედაქტორობდა გაზეთ „სამშობლოს“, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის გამოდის. დიდმა ერუდიტმა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ, მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეჩვენებინა სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველებისათვის. დიდი რუდუნებით აგროვებდა ცნობებს ომის გმირებზე, სახოგადო მოღვაწეებზე, მწერლებზე, მხატვრებზე, რომლებიც საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული. მიმოწერა ჰქონდა და ხვდებოდა საზღვარგარეთელ ქართველებს, ჩაჰქონდა წიგნები, საბჭოთა სამშობლოს დაუცხრომელი წარმომადგენელი იყო. ვ. ესვანჯიას პირადმა თვისებებმა, მისმა პარტიულმა მგზნებარებამ და პრინციპულობამ, მისმა ენერგიამ, მისმა გაზეთმა დიდი როლი შეასრულა იმ საქმეში, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მეგობრები გასცნობოდნენ ჩვენს სამშობლოს, დაეხმარა ადამიანებს დაბრუნებოდნენ მამა-პაპათა მიწა-წყალს.

1972 წელს ვახტანგ ესვანჯია ცხაკაიაში გაგზავნეს პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელად. ბევრჯერ ჩავსულვარ დასავლეთ საქართველოს ამ პატარა ქალაქში და მუდამ მიკვირდა, რა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო იქ ჩემმა მეგობარმა ათ წელიწადში. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ გაიზარდა გლეხთა შეძლება, როგორი გადაჭარბებით ასრულებს სამეურნეო გეგმებს ოდესაც ჩამორჩენილი რაიონი. ერთს კი ვიტყვი: რომ იქ აშენდა სამხატვრო გალერეისა და სკოლის შენობები, დაიდგა ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზურაბ ნერეთლის ნამუშევარი მონუმენტური სტელა, აღიმართა შესანიშნავი ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას ძეგლი, განახლდა და რესტავრირებულია თეატრი... რაიკომის მდივნის მუშაობის მეთოდებზე და სტილზე „სოვეტსკაია კულტურაც“ წერდა. მაგრამ ჩემი მეგობარი წინანდებურად თავმდაბალია. ზოგჯერ — მოკრძალებულიც, დაუცხრომლად შრომობს, და არასოდეს არ ივიწყებს ადამიანებს, რომლებსაც პატიოსნად და გატაცებით ემსახურება.

და კიდევ ერთი ჩემი მეგობარი — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი გურამ მგელაძე. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა მან სოციალური პირობების გაუმჯობესება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა ტრანსპორტზე. მაგრამ სათანადო უკუგება ამ ღონისძიებებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის ამ სიტყვებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს ყველა ზემოთ ხსენებულმა მეურნეობის ხელმძღვანელმა და, რა თქმა უნდა, თვით ქარხნის მესვეურებმაც, ბევრ რამეში ისინიც სცოდავენ. თითოეული ჩვენგანის ვალია ყოველნაირად შეეწყოთ ხელი რკინიგზის ტრანსპორტის ამ მეტად მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას. თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციის დროულად, მაღალხარისხოვნად დამთავრებას დიდი პრინციპული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ საწარმოზე მოდის ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ელმავლების არა მესამედი, როგორც ამას წინათ ვამბობდით, არამედ 43 პროცენტი! ეს მაჩვენებელი ძალაში დარჩება საწარმოს განახლების შემდეგაც. რატომ? იმიტომ, რომ პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდის მიზნით რეკონსტრუქცია მიმდინარეობს აგრეთვე ლოკომოტივების გამომშვებ ქვეყნის მეორე სა

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ
ᲣᲙᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲮᲛᲐ
ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ
ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

რევოლუციისათვის განწირული სიცოცხლე

პასუხში, რევოლუციის შემდგომი ერთ-ერთი პირველი ანკეტის კითხვაზე — „სად ისურვებდით სწავლას“, აღნიშნულია: ამერიკაკავკასიიის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

ცოდნისადმი ლტოლვით, სწავლის სურვილით ყოველთვის გამოირჩეოდა იგი. და სავსებით კანონზომიერია, რომ სახალხო მასწავლებელი გახდა.

მაგრამ მანამდე ვაჟკაცურად გადაიტანა ბევრი გაჭირვება და ჭირ-ვარამი, გადალახა სიძნელეები და დაბრკოლებანი. მას, წყალდისული ღარიბი გლეხის შვილს, ისევე როგორც მილიონობით მის მსგავსს, ცხოვრება არ ანებივრებდა. მხოლოდ უდიდესი მეცადინეობის, თავდადებული შრომის ფასად მან ჩაბარა გამოცდები ექვსწლიან საქალაქო სასწავლებელში და მასწავლებლობა დაიწყო.

პატარა ერკეთელები ვერც კი იფიქრებდნენ, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი, დინჯი და აუჩქარებელი „ბატონი ნიკო“ დაუცხრომელ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა.

იგი იზრდებოდა ბიძამისის — აბელ სოფრომის ძის გვერდით და ბავშვობიდანვე ტრიალებდა რევოლუციონერთა წრეში, ყურს უგდებდა მათს საუბრებს, ასრულებდა ზოგიერთ დავალებას. და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შვიდი ახალგაზრდობის მარქსისტულ-რევოლუციურ წრეში.

ახალი ცხოვრება საშიში, მაგრამ მიმზიდველი და საინტერესო იყო: ეცნობოდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, კითხულობდა და ავრცელებდა „პრავდას“, თ. ყელენტათან და გ. მგალობლიშვილთან ერთად რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა გურულ გლეხებს შორის. და აი, 1912 წელს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ენუქიძე ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის როგორც სავსებით მომწიფებული კომუნისტი. შედის, რათა სამუდამოდ დაუკავშიროს მას თავისი ბედი. და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ერთიანი განუწყვეტელი ჯაჭვია მოვლენებისა, რომლებსაც აქვს ერთი სახელი — ბრძოლა, ბრძოლა სახლხისმფლვრელი და მშვიდობიანი, მკაცრი და შეურიგებელი სოციალისტური რევოლუციის მოხდენისათვის, მისი დაცვისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლას შეალია მან მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრებისეული გზა მან განვლო სახელოვნად, პატიოსნად და კეთილსინდისიერად, ამაყად თავაწეულმა.

1916 წელს ნ. ბ. ენუქიძე არმიაში გაიწვიეს. პრაპორშჩიკთა სკოლის დამთავრების შემდეგ ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნეს. მაგრამ ახალგაზრდა ბოლშევიკმა აქტიური ომის საწინააღმდეგო მუშაობა გააჩაღა.

თებერვლის რევოლუციამ მას ალექსანდროპოლში მოუსწრო, პ. არველაძესთან, ნ. ლექვასთან ერთად მან კავშირი დაამყარა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან, დიდი მუშაობა დაიწყო არმიის ბოლშევიზაციისათვის. იგი აირჩიეს ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

ბოლშევიკური საქმიანობისათვის დროებითმა მთავრობამ იგი ფრონტზე გაგზავნა, მაგრამ ნ. ენუქიძე უკვე შესამჩნევი და ავტორიტეტული ადამიანი იყო. ამ ბრძოლებში ეროვნული ნაწარმოებებს ეცნობოდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, კითხულობდა და ავრცელებდა „პრავდას“, თ. ყელენტათან და გ. მგალობლიშვილთან ერთად რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა გურულ გლეხებს შორის. და აი, 1912 წელს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ენუქიძე ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის როგორც სავსებით მომწიფებული კომუნისტი. შედის, რათა სამუდამოდ დაუკავშიროს მას თავისი ბედი. და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ერთიანი განუწყვეტელი ჯაჭვია მოვლენებისა, რომლებსაც აქვს ერთი სახელი — ბრძოლა, ბრძოლა სახლხისმფლვრელი და მშვიდობიანი, მკაცრი და შეურიგებელი სოციალისტური რევოლუციის მოხდენისათვის, მისი დაცვისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლას შეალია მან მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრებისეული გზა მან განვლო სახელოვნად, პატიოსნად და კეთილსინდისიერად, ამაყად თავაწეულმა.

1916 წელს ნ. ბ. ენუქიძე არმიაში გაიწვიეს. პრაპორშჩიკთა სკოლის დამთავრების შემდეგ ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნეს. მაგრამ ახალგაზრდა ბოლშევიკმა აქტიური ომის საწინააღმდეგო მუშაობა გააჩაღა.

1918 წლის დამლევს ნიკოლოზ ენუქიძე ბრუნდება საქართველოში, შობლიურ რაჭაში და მთლიანად ებმება რევოლუციურ მუშაობაში.

მეთაურობს რა პარტიის რაჭის არალეგალურ სამაზრო კომიტეტს, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ქმნის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, ამხელს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, რაზმავს მასებს, ამზადებს მათ მომავალი ბრძოლებისათვის, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა იგი შეიყვანა დასავლეთ საქართველოში აჯანყების ხელმძღვანელობის სამხედრო სექციაში. 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იგი აქტიურად მონაწილეობს მენშევიკთა წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში. ხელისუფალთა მიერ დევნილი, იგი იძულებული იყო გადასახლებულიყო ხაშურში, სადაც რკინიგზის სასწავლებელში ასწავლიდა.

გამოცდილ პარტიულ მუშაკს ავალებენ აღადგინოს მენშევიკური ორგანიზაცია. მალე იგი გორის არალეგალური სამაზრო კომიტეტის მდივანი ხდება.

1920 წლის იანვარში იგი მენშევიკებმა დაიპატიმრეს და ჩასვეს ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის საპატიმროში, საიდანაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოვიდა.

იწყება ახალი ეპოქა, ახალი სამყაროს აღმშენებლობის ეპოქა, და ნ. ენუქიძე დაუყოვნებლივ დგება საბჭოთა საქართველოს მშენებელთა რიგებში. 1921 წლის მარტიდან ხაშურზე იგი მეთაურობს სახალხო განათლების განყოფილებას, არის რაიონული პარტორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი.

1921 წლის სექტემბერში გამოცდილი პარტიული და სამხედრო მუშაკი ნ. ენუქიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული მუშაობისათვის გაგზავნა საქართველოს წითელ არმიაში, რომლის შექმნის ამოცანა ვ. ი. ლენინმა დასახა, ნ. ენუქიძეს ნიშნავენ სამხედრო-საინჟინრო სამმართველოს სამხედრო კომისრად. 1922 წელს იგი უკვე ქართული ნაკრები ბრიგადის მესამე ქვეითი პოლკის კომისარია.

1922 წლის თებერვალში ნ. ენუქიძე არის დელეგატი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობისა, რომელმაც შექმნა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი — მხარეში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უშუალო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

1923 წელს პარტიამ მას დაიკისრა საპატიო და პასუხსაგები დავალება — მას ნიშნავენ მეორე ქართული დივიზიის მეთაურად და კომისრად. ნ. ენუქიძემ ბევრი რამ გააკეთა შეიარაღებული საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის, პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდისათვის.

1925 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნით იგი დემობილიზებულ იქნა არმიიდან და გაგზავნა — რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივნად. რამდენიმე წლის შემდეგ, 1932-1935 წლებში იგი კვლავ რაჭაშია — მუშაობს პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივნად.

ამ წლებში ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ეყრება სოციალიზმს და გამოცდილი პარტიული წინამძღოლი ნ. ენუქიძე უნარიანად წარმართავდა მაღალი მთის რეგიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას იმ გადაუდებელი ამოცანების დადასაწყვეტად, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, სახალხო მეურნეობის აღდგენა, ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, პოლიტიკური აქტიურობის ამაღლება და სხვ. მაზრისა და რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მასები დარაზმეს პარტიის წინასწარ-დასახულობათა შესასრულებლად. ნ. ენუქიძე მუდამ იყო მოვლენათა შუაგულში, პარტიული მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, ხალხის მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების თაოსანი.

პარტიისა და ხალხის საქმისადმი ერთგულებამ, დაუცხრომლობამ, პრინციპულობამ, მომთხოვნელობამ, სამართლიანობამ, გულისხმიერებამ, თვითკრიტიკულმა მიდგომამ ყოველივე იმისადმი, რასაც აკეთებდა — ყველა ამ თვისებამ ნ. ენუქიძეს ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა ფართო პარტიულ წრეებში. იგი იყო საქართველოს კომპარტიისა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელი რიგი ყრილობების დელეგატი, აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ენუქიძის ცხოვრება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მაღალი იდეალისადმი თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითია. მადლიერი შთამომავალნი არასოდეს არ დაივიწყებენ რაინდებს, რომლებმაც სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნას შესწირეს ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე. ახალი ცხოვრების მშენებელი თაობანი, რომლებიც მათი მიხედვით ამოწმებენ თავიანთ საქმეებსა და ჩანაფიქრებს, დაამტკიცებენ, რომ მამების სახელოვან საქმეთა ღირსი არიან და ძლევამოსილად ატარებენ საუკუნეების მანძილზე კომუნიზმის უძლეველ დროშას.

ი. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სწავლული მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲐᲠᲚᲕᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲡ

ᲒᲐᲖᲗᲔᲗ „ᲜᲝᲔᲘᲡ ᲓᲝᲠᲘᲩᲚᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. როგორც ფედერალური მთავრობის პრესისა და ინფორმაციის უწყების ცნობები ცხადყოფს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. კოლი არ აპირებს ხელი შეუწყოს ორი გერმანული სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას, თუ ბუნდესტაგის არჩევნებში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისათვის სასიკეთოდ დამთავრდება. მისი ამასწინანდელი გამონათქვამებიდან ჩანს, რომ მას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ნორმალური ურთიერთობის განვითარების საფუძვლად არ მიაჩნია არც ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, არც ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტი, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ფედერალური მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, არ აპირებს შეასრულოს ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების მეხუთე მუხლში ჩამოყალიბებული დებულებანი დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების შესახებ. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ გეგმები, განალაგონ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გადაეცევენ დენთის კასრად, საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

რაც შეეხება ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საგარეო-პოლიტიკურ გეზს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების მიმართ, ამ კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამის დებულებებს თანახმად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებს სოციალისტურ ქვეყნებთან ვითომდა დროებითი ხასიათი აქვს.

დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწის ეს და სხვა გამონათქვამები უხეშად არღვევენ ევროპის იმ საყოველთაოდ აღიარებულ შეთანხმებებს, რომლებშიც საბოლოდ არის დაფიქსირებული მეორე მსოფლიო ომის შედეგები და ომისშემდგომი განვითარების მიმართულებანი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის დედაქალაქის უდიდეს დარბაზში „ვიგიან ბჰავანში“ (მეცნიერების სახლში) გაიხსნა მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ორი დღის განმავლობაში 97 ქვეყნის მინისტრები და დელეგატები განიხილავენ და დაამტკიცებენ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენციის დღის წესრიგის საკითხებს, რომელიც აქვე 7 მარტს გაიხსნება.

პირველ სხდომაზე მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების წინაშე ფორუმის თავმჯდომარემ, კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიდორო მალმიერკა პეოლმ საზეიმო ვითარებაში გადასცა თავმჯდომარის უფლებამოსილებანი ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ვ. ნარასიმჰა რაოს. ი. მალმიერკა პეოლმ გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთის თავმჯდომარეობით მიუმხრობლობის საბოლოო აქტი, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ფედერალური მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, არ აპირებს შეასრულოს ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების მეხუთე მუხლში ჩამოყალიბებული დებულებანი დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების შესახებ. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ გეგმები, განალაგონ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გადაეცევენ დენთის კასრად, საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

● ᲐᲨᲨ

ᲕᲘᲖᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. რეიგანის ადმინისტრაციამ უარი უთხრა ამერიკაში ჩახვლის ვიზაზე ორტენსია ბუსი დე ალიენდეს, ჩილეს უოფილი პრეზიდენტის ხალვადორე ალიენდეს ქვრივს.

ო. ბუსი დე ალიენდე მიწვეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში კალიფორნიის რელიგიური ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებების საკითხებზე ლექციების წასაკითხად. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უარი იმით გაამართლა, თითქოს ო. ბუსი დე ალიენდეს გამოსვლას კალიფორნიაში შეუძლია „ზიანი მიაყენოს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს“.

● ᲒᲬᲠ

„ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ“ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲑᲝᲜᲝ. „მწვანეთა“ პარტიის გამგეობამ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების გეგმების რეალიზაცია.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მხედრიონის გეგმები ეწინააღმდეგება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, განაცხადა პრესკონფერენციაზე ოტო შილმა — დასავლეთ გერმანიის ამ პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. ეს პარტია გარეშოს დაცვის ლოზუნგებით მოქმედებს.

დოკუმენტაციაში, რომელიც გავრცელეს პრესკონფერენციის დროს, აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების შემთხვევაში, რომლებიც პირველი ბირთვული დარტყმის იარაღია, მთელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის სიცოცხლეს საშინელი საფრთხე შეექმნება. ამგვარი გეგმებით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას, ნათქვამია დოკუმენტაციაში. მასში ყურადღება ექცევა აგრეთვე იმას, თუ რაოდენ საშიში იქნება ამერიკის ქიმიური იარაღით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დამატებითი შეიარაღება“.

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲥᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

* * *

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე ჩამოსული სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების მეთაურთა შეხვედრა.

ᲒᲛᲝᲒᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სურინამის წინაააღმდეგ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გაჩაღებული ბინძური პროპაგანდისტული კამპანია გადაეჩრით დაგმო პარამარიბოში ეროვნული სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ პო�pოლკოვნიკმა დეზი ბოუტერსემ. რეაქციული პრესა, როცა იმპერიალიზმის ინტერესებს იცავს, ცილს სწამებს სურინამის მთავრობას, უხეშად ერევა სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ისე, როგორც ამას სჩადიოდა იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ჰოლანდიის კოლონია იყო, ხაზი გაუსვა მან.

ამ მანევრების მიზანი ის არის, თქვა დ. ბოუტერსემ, რომ დაამახინჯოს სურინამის ვითარება და მისი მთავრობის საქმიანობის ხასიათი, ძირი გამოუთხაროს მისდამი ნდობას საერთაშორისო ასპარეზზე, გვაიძულოს შევცვალოთ საგარეო-პოლიტიკური კურსი.

ჩვენი მთავრობა, თქვა შემდეგ სურინამის ხელმძღვანელმა, მტკიცედ იცავს მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპებს, იგი ცდილობს მოსპოს საერთაშორისო იზოლაცია, რომელშიც სურინამი იმყოფება კოლონიური ბატონობის სამასი წლის მანძილზე, გააფართოოს ყოველმხრივი ხელსაყრელი ურთიერთობა ლათინური ამერიკის, კარიბის აუზის სახელმწიფოებთან, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებთან.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲭᲐᲓᲐᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲙᲜᲣ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲜ „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲙᲣᲡᲘᲡ“



ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, რეიგანის ადმინისტრაცია უკანასკნელ როლს როდი ანიჭებს უბადღებულ „მშვიდობის კორპუსს“ — ორგანიზაციას, რომელმაც საძრახისი სახელი მოიპოვა მშვიდრო ურთიერთობით ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და ამერიკის სხვა სპეცსამსახურებთან.

სენატის ერთ-ერთ ქვეკომისიაში მოსმენის დროს კორპუსის დირექტორმა ლ. რუპემ დაადასტურა, რომ ამ ორგანიზაციის „მოხალისეთა“ მომზადების პროგრამაში შემოღებულია ახალი კურსი — „სტრატეგია, ტაქტიკა და კომუნიზმის საფრთხე“, როგორც მისი გამონათქვამები მოწმობენ, ანტიკომუნიზმის ქადაგება უცხოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე „მოხალისეთა“ საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს არაორაზროვნად აღნიშნა ქვეკომისიის ერთ-ერთმა წევრმა სენატორმა — რესპუბლიკელმა ა. სპექტერმა, რომელმაც თქვა, რომ „მშვიდობის კორპუსის“ ფუნქციები უნდა იხილებოდეს „საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციის“ კონტექსტით.

ამ მიზნების რეალიზაციისათვის ვაშინგტონი სახსრებს არ იშურებს. 1984 საფინანსო წლისათვის ადმინისტრაციამ მოითხოვა თითქმის 110 მილიონი დოლარი, რომლის მეტი ნაწილი — დაახლოებით 80 პროცენტი— მოხმარდება „მშვიდობის კორპუსის“ საზღვარგარეთულ ოპერაციათა დაფინანსებას. საგულისხმოა აგრეთვე, რომ ფედერალურ ხელისუფალთა მიერ ასიგნებათა მკვეთრი გადიდების გარდა, „კორპუსი“ ახლა უხვ დოტაციებს იღებს მსხვილი კერძო ბიზნესისაგანაც. მოსმენის დროს მოყვანილი მონაცემების თანახმად, გასული 1982 საფინანსო წელს ამ სუბსიდიების თანხა თითქმის 80 პროცენტით გაიზარდა.

მოსმენაზე ლ. რუპე ამტკიცებდა, რომ მისი ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა „ემსახუროს მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს“, მაგრამ კარგად არის ცნობილი, თუ სინამდვილეში რა საქმიანობას ეწევიან „მშვიდობის კორპუსის“ „მოხალისენი“. 1961 წელს შექმნილი ეს ორგანიზაცია თავიდანვე გახდა განვითარებადი ქვეყნების საქმეებში შეერთებული შტატების ჩარევის ერთ-ერთი იარაღი. სკანდალურმა მხილებამ გამოავლინა, რომ კორპუსს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, დაზვერვის ფედერალურ ბიუროსთან, სამხედრო დაზვერვასთან და სხვა სპეცსამსახურებთან, რომლებიც მისი ნიღბით ახორციელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ოპერაციებს სუვერენულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე კორპუსს „მოხალისენი“ გაეძევნენ 30 ქვეყნიდან.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲔᲠᲞᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ

„ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტში“ დაბეჭდილ ამ სურათზე გამოსახული ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატების იმ მრავალრიცხოვანი ქალაქების მობინადრენი არიან, რომლებსაც ვერც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე ვერ ნახავთ. ეს არის ამერიკელ უმუშევართა კარვის ქალაქები, სადაც საარსებო წყაროს მოკლებული ამერიკელები სახელდახელოდ შეკონწიებულ ფიცრულებში და ძველ ავტოფურგონებში ცხოვრობენ. ერთ-ერთი ასეთი ქალაქის „მცხოვრებმა“, ყოფილმა მეტალურგმა ბ. ჰოლმა ტელევიზიის კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენი მდგომარეობის გამოსასწორებლად ვაშინგტონის ახლანდელ ადმინისტრაციას მხოლოდ ის შეუძლია, რომ პენტაგონს წაართვას ფული და ახალი სამუშაო ადგილები შექმნას“. ეს იმ კაცის ნათქვამია, რომელმაც კარგად იცის თავისი ბედკრულობის ნამდვილი მიზეზი — დღევანდელი ამერიკის მმართველი წრეების დანაშაულებრივი გულგრილობა, რომელებისთვისაც ფროთსანი ურჩხული— ბომბდამშენი „ბ-1“ (სურათზე ზემოთ) ან უახლესი ტანკი „მ-1“ (სურათზე ქვემოთ) უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე საზოგადოებიდან გარიყულ მილიონობით თანამემამულეთა ბედუკულმართი ცხოვრება.

ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲭᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲐᲛ ბოლო დროს რესპუბლიკაში აღინიშნება მძიმეშედეგიანი ავტოსაგზაო შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა. საავტომობილო ავარიები დასახჩრებია და დაღუპვის მრავალი შემთხვევის მიზეზი გახდა. ავარიულობის მაღალ დონეს განაპირობებს გზებზე მოძრაობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის წესების დარღვევები, მძღოლთა სმთვრალე და ცუდი მომზადება, ტრანსპორტის მოძრაობისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოებისადმი არასაკმარისი მეთვალყურეობა.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად არის მიჩნეული განხორციელდეს მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი გზებზე მოძრაობის დისციპლინის განსამტკიცებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო ავტოინსპექციას მისცა მითითება, რომ 5 მარტიდან გარკვეული პერიოდით დაიწესოს ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის რეჟიმის შეზღუდვა:

— ქ. თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების და დასახლებული პუნქტების ფარგლებში — 50 კილომეტრამდე საათში;

— სავტომობილო გზებზე — 70 კილომეტრამდე საათში.

სახელმწიფო ავტოინსპექციას დაევალა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელოს მასობრივი პროფილაქტიკური ღონისძიებანი გზებზე მოძრაობის წესების დამრღვევთა გამოსავლენად. შექმნილია კომისიები, რომლებიც ოპერატიულად განიხილავენ ადგილზე დარღვევათა ფაქტებს და ადმინისტრაციული სასჯელის ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს განახორციელებენ და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებასაც კი ჩამოართმევენ. შესაბამისი ინფორმაცია გადაიგზავნება დამრღვევთა სამუშაო და სასწავლო ადგილას ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ რეგიონებისათვის.

ერთი თვის ვადით შეჩერდა ავტომოყვარულთა მძღოლის უფლებების გაცემა იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს წინათ გაცემული მოწმობების და მძღოლთა მომზადების დონის მასობრივი ხელახალი შემოწმება.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭო;

გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფი.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და საოლქო უმაღლეს პარტიულ სკოლებში. უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღება იწარმოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების, საოლქო პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, რეკომენდაციებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებს, რომლებსაც აქვთ სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟი, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და იდეოლოგიურ შუშაკებს:

ორწლიან განყოფილებებზე და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — უმაღლესი განათლების მქონე პირთ, 40 წლამდე: ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — საშუალო განათლებით, 35 წლამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა, არაუგვიანეს ამა წლის 1 მაისისა უნდა წარადგინონ უმაღლეს პარტიულ სკოლებში სასწავლებლად რეკომენდებულ შუშაკთა შესახებ ბიუროს დადგენილების ამონაწერი, დახასიათება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

მომდინარე წლის 20 მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებულნი უნდა გამოცხადდნენ უმაღლეს პარტიულ სკოლაში გასაუბრებაზე, ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელნი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, რუსულ ენასა (თხზულებასა) და სსრ კავშ

იგი ხატავდა საქართველოს

საქართველო თავისი მშვენიერი ბუნებითა და ხალხით, უძველესი კულტურული ძეგლებით, მრავალი უცხოელი თუ რუსი მწერლისა და მხატვრის შემოქმედებითი წყარო იყო.

„უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზის შთამაგონებელი, მათი პოეტური სამშობლო", —წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი.

საქართველოსთან არის დაკავშირებული პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიისა თუ პროზის უბრწყინვალესი ფურცლები, რუსული სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატების ვ. მოშკოვის, ნ. ჩერნეცოვის, ი. სოკოლოვის, ლ. ლაგორიოს, მ. ზიჩის, გ. გაგარინის, კ. აივაზოვსკის, ვ. ვერეშჩაგინის, ფ. რუბოს, ვ. სეროვის, ი. რეპინის, შესანიშნავი ფერწერული ოსტატობა.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რუსული ხელოვნებისა და კულტურის განყოფილების ფონდებსა და საექსპოზიციო დარბაზში მრავლად არის დაცული იმ რუს მხატვართა ნამუშევრები, რომელთა შთაგონების წყაროც საქართველო იყო.

განყოფილების ფონდებსა და საექსპოზიციო დარბაზში მნახველთა ყურადღებას იმსახურებს მხატვარ გ. გაგარინის მიერ შესრულებული მშვენიერი გრაფიკული ფურცლები, რომლებშიც ქეშმარიტი ხელოვნების ოსტატობით დამაჯერებლად არის გადმოცემული ძველი თბილისის ყოფის დამახასიათებელი სცენები, თბილისის ვიწრო ქუჩაბანდებისა და ბანიანი სახლების სილამაზე, ტანწერწეტა ქართველი ქალების მოჭილობა და სილამაზე, მხატვრის თანამედროვე ადამიანთა საინტერესო ხასიათები, საქართველოს ბუნების ხედები.

გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი (1810–1893), რუსეთის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი, არქიტექტორი, ხელოვნების მკვლევარი, მხატვარი, დიპლომატი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1841 წელს გ. გაგარინი ჩამოვიდა საქართველოში და ჩამოსვლისთანავე დაუახლოვდა ქართველ არისტოკრატულ საზოგადოებრიობას და „განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს.

დაუფლავმა მოგზაურმა — გაგარინმა თავისი განუყრელი ალბომითა და ფუნჯით შემოიარა მთელი საქართველო, მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებში და ლერმონტოვთან ერთად შექმნა ამ ბრძოლების ამსახველი ეპიზოდები. ერთ-ერთ სურათს „შეტაკებას" აქვს ასეთი წარწერა: „ლერმონტოვმა დახატა, გაგარინმა გააფერადა".

მხატვარმა შექმნა იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველი სცენების სერია, ქართულ ტიპაჟთა მთელი გალერეა, რომლებიც თავისი დახვეწილი ოსტატობით დღესაც იწვევს მნახველთა აღტაცებას.

გაგარინის უზარმაზარი მხატვრული მემკვიდრეობა 4000-მდე ნამუშევარი — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმშია დაცული და რუსული გრაფიკული ხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო მოსაკვეთს წარმოადგენს.

მხატვარი ბევრს მოგზაურობდა ევროპასა და წინა აზიის ქვეყნებში და, ცხადია, ყველგან ხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ მას სისტემატური სამხატვრო განათლება არ მიუღია (მხოლოდ რამდენიმე ხანს სწავლობდა აკადემიაში ფერწერას ცნობილი რუსი მხატვრის კ. ბრიულოვის ხელმძღვანელობით), გაგარინი სრულყოფილად დაეუფლა ხატვის რთულ ხელოვნებასა და მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული მრავალი ნაწარმოები დაგვტოვა.

ხელოვნების მუზეუმში დაცული მართა სოლოლაშვილის, მარიამ ფალავანდიშვილის და სხვა ქართველ ქალთა პორტრეტები მნახველს ნიბლავს შესრულების არტისტიზმით, კომპოზიციის დინამიკურობით, ქართველ ქალთათვის დამახასიათებელი კეთილშობილური იერით, ნატიფი, მუსიკალური კოსტიურით, ამაღლებული, პოეტური მიხაგანი სამყაროს გადმოცემით. „მართა სოლოლაშვილის პორტრეტში" მხატვარი ხაზს უსვამს მშვენიერი ქართველი ქალის სახეს, დახვეწილად გადმოგვცემს ქალის ფიგურას, მისი ეროვნული სამოსის დეტალებს: ლეჩაქს ჰაეროვნებასა და ატლასის რბილ ელვარებას.

მრავლად ეხვდებით გაგარინის შემოქმედებაში უმბრალო ადამიანების ყოფითი სცენებისა თუ ტიპების ჩანახატებსაც. ეს ფურცლები მოქნილი ნახატით და ცხოვრებისეული რეალიზმით, კომპოზიციათა დინამიკურობით და შესრულების უშუალობით თვალსაჩინო ადგილს იკავებს რეალისტური გრაფიკის განვითარებაში. ასეთია მაგალითად, „მუშა", „ხალხური მთქმელი სათარა" და სხვანი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გ. გაგარინის პეიზაჟები: „გზა თბილისიდან თელავამდე", „სურამის ციხე", „თეთრი წყარო", დარიალის ხეობის, იმერეთის, სამეგრელოს, ქუთაისის წარმტაცი ხედები. მხატვარი დაკვირვებით სწავლობ და და ხატავდა ყოველივეს, რაც მის ყურადღებას იმსახურებდა, ოსტატურად აგებდა მრავალპლანიან კომპოზიციებს, რომლებშიც გამოსაცოცხლებ ად საგანგებოდ ჩაუხატავს ადამიანები. პეიზაჟებში მშვენივრად არის გადმოცემული პერსპექტივა, სიღრმისა და ჰაეროვნების შეგრძნება, რომელსაც მხატვარი შუქ-ჩრდილთა რბილი მოდელირებით აღწევს. რომანტიკული განწყობილებით შექმნილ ამ პეიზაჟებს, ამავე დროს რეალიზმიც ახასიათებთ.

1848 წელს გაგარინი ხელმეორედ ეწვია საქართველოს, დასახლდა თბილისში და მეცნიერული კეთილსინდისიერებით შეუდგა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ხალხების ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის შესწავლას. იგი ბევრს მოგზაურობდა, შემოიარა თითქმის მთელი კავკასია, გაკეთა უამრავი ჩანახატი, რომლებსაც დღეს მხატვრულობის გარდა დიდი მეცნიერული ღირებულებაც აქვს კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიისა თუ არქიტექტურის შესწავლის თვალსაზრისით.

განსაკუთრებული სიყვარულით სწავლობდა გაგარინი ქართული კულტურის ძეგლებს, ბეთანიის ფრესკებს და გელათის ტაძრის მხატვრობას. ხდება ქართული თეატრის მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი, ხატავს ქართული ეროვნული თეატრის ფარდას, დეკორაციებს ამ თეატრის სცენაზე დადგმული გ. ერისთავის პიესებისათვის „გაყრა" და „დავა", ხატავს სიონის ეკლესიის ფრესკებს, აკეთებს აბო თბილელის ილუსტრაციებს, იღვწის თბილისში სამხატვრო სკოლის დაარსებისათვის, რომელიც მხოლოდ 1874 წელს გაიხსნა სამხატვრო საზოგადოებასთან.

გაგარინი — ჭეშმარიტი ინტელიგენტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მთელი თავისი არსებით თანაუგრძნობდა ქართველ ხალხს, რომელიც ცარიზმის უღლის ქვეშ იტანჯებოდა. ამას მოწმობს მხატვრის მიერ 1849 წელს მინისტრ ა. ჩერნიშევისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გაკრიტიკებულია ფეოდმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა.

მეფის ფლიგელ-ადიუტანტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ბრწყინვალე არისტოკრატის გ. გაგარინის ეს გამოსვლა ნიკოლოზ პირველის პირქუში რეაქციის ხანაში დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო და მხატვარს შთამომავლობის წინაშე წარმოაჩენს როგორც ხალხთა ძმობის თვალსაჩინო მოღვაწეს და ქართველი ხალხის დიდ მეგობარს.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია უცნობი ქართველი ოსტატის მიერ შესრულებული მოზრდილი ეერცხლის ყარყარა, რომელიც მადლიერმა ქართველმა ინტელიგენციამ ღვაწლმოსილ მხატვარს მიუძღვნა სამახსოვრო წარწერით.

ე. ალექსანდრიანა,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რუსული ხელოვნების განყოფილების გამგე.

სურათზე: გ. გაგარინის ნამუშევრები — „მაიკო ორბელიანი" (ზემოთ) და „ცეკვა ბანზე".

თანამედროვე ფორმების ძიებაში

ქართველ მოქანდაკეთა და არქიტექტორთა წარმატებანი ძეგლებისა და მემორიალური კომპლექსების გამომხატველობის და ემოციურობის თანამედროვე ფორმების ძიებაში, განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ამას წინათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, ევროპის სოციალისტური ქვეყნების ხელოვნებისა და სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების სექტორების ინიციატივით, გამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და საქართველოს კომკავშირის ლაურეატი არქიტექტორი ვახტანგ დავითაია.

არქიტექტორმა ვ. დავითაიამ დიალოზიტივების მეშვეობით „აუდიტორიის თავის მშობლიურ ქვეყანაში საინტერესო მოგზაურობა შესთავაზა" (პროფესორი მ. ბარხინი). ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები გაეცნენ ქართველ ოსტატთა საუკეთესო ნაწარმოებებს: ფოთის გმირ მეზღვაურთა მემორიალს, ქუთაისისა და გორის გამარჯვების მონუმენტებს, ქუთაისის „შრომის დიდების" მემორიალს და სოფელ მუზრანის „ხსოვნის ტაძარს", სოფელ მარაბდის ცხრა ძმა ხერხეულიძის ძეგლს, მარნეულის დიდების ძეგლს და სხვ.

პროფესორმა მ. ბარხინმა, თანამედროვე ქანდაკების პრობლემებზე მთელი რიგი ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორმა ს. ვალერიუსმა, ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ვ. ლებედევამ და ნ. ბაშინჯანიანმა, მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის დოცენტმა ი. აზიზიანმა, ჟურნალ „არხიტექტურა სსრ" რედაქტორმა ა. კუდრიავცევმა, ევროპის სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების სექტორის ხელმძღვანელმა ი. სვეტლოვმა და სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების სექტორის ხელმძღვანელმა პროფესორმა ო. შვიდკოვსკიმ მაღალი შეფასება მისცეს ქართველ მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა ძიებას. თქვეს, რომ მათ ძალზე ღრმად აქვთ გაგებული ანსამბლურობა და მასშტაბურობა, ახასიათებთ კულტურის ეროვნული თავისებურებების გრძნობა და თანამედროვე აზროვნება, ემოციური მგზნებარება და ხალხის ფერთო აუდიტორიაზე ორიენტირება. ვ. ლებედევას, ნ. ბაშინჯანიანისა და ი. აზიზიანის გამოსვლებში აღინიშნული იყო „ადამიანური მასშტაბი", რიტუალობა და თეატრალიზაცია, რომლებიც დამახასიათებელია ქუთაისის „შრომის დიდების" მემორიალისათვის. მათ თქვეს, რომ განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება მყარდება მუზრანის „ხსოვნის ტაძარში" ამ ძეგლსა და მაყურებელს შორის, რომ გორის „გამარჯვების" მონუმენტში ჰარმონიულად არის შერწყმული სკულპტურული კომპოზიცია და ბრწყინვალე მასშტაბურობა.

ევროპის სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების სექტორის ხელმძღვანელმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ი. სვეტლოვმა აღნიშნა, რომ არქიტექტურა კვლავ იბრუნებს თავისუფლებებს, დაკვემდებარებულდან წინა პოზიციებზე გადმოდის. მან აგრეთვე აღნიშნა უკანასკნელი წლების ახალი ტენდენცია, როცა მონუმენტებსა და მემორიალებს დღევანდელ შრომის „გამარჯვებებს, ადამიანის სასახელო საქმეებს უდგამენ (გრიგოლ კოკაიას მემორიალები ჭალადიდში და ფოთში, „სოცოცხლის სვეტი" სოფელ უდაბნოში, „ალგეთის ბაზილიკა" ალგეთის წყალსაცავის მშენებელთა პატივსაცემად და სხვ.).

სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების სექტორის გამგემ პროფესორმა ო. შვიდკოვსკიმ თავის საბოლოო სიტყვაში თანამედროვე მონუმენტალისტთა შემოქმედების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები აღძრა. თავიანთ ნამუშევრებში, თქვა მან, თანამედროვე ქართველი ავტორები მსოფლიო ხელოვნების უმაღლესი ეტალონების დონეზე დგანან, და მინდა, რომ მათ არათუ არ შეწყვიტონ განვითარება, არამედ კიდევ უფრო აქტიურად ეძებონ ახალი, თვისებრივად, პრინციპულად ახალი გზები. ამასთანავე, თავი უნდა აარიდონ განმეორებას და აქტიურად განაგრძონ ძიება ეროვნული კულტურის ტრადიციების განვითარების ხაზით. სახის დაძაბულობის, ემოციურობის იდეა, სიღრმე, ტრადიციების გრძნობა, მრავალპლანიანი გაგება, ყოველ ადამიანში გამოხმაურების შესაძლებლობის ძიება,— ამ შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში ქართველმა არქიტექტორებმა და მოქანდაკეებმა ჩინებული მაგალითები მოგვცეს; გარემოს გრძნობა, გარემომცველთა გრძნობა — არქიტექტორის უძვირფასესი თვისებებია. ლაპარაკია იმაზე, რომ არქიტექტურასაც მაღალი ხელოვნების მოთხოვნებით ვუდგებოდეთ, შეუწყნარებელია შეცდომა — არქიტექტურისათვის მისი მხატვრული თვისებების ჩამოშორება. საგულისხმოა ისიც, რომ ქართველ მოქანდაკეთა და არქიტექტორთა შემოქმედებითი აღმავლობა ქართული ხელოვნების საერთო აღმავლობის ფონზე მიმდინარეობს.

ა. მაკაროვა,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქ. მოსკოვი.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რედაქციას უპასუხებს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე რ. კრიჭინაშვილი

წერილში ნათქვამია: „გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 18 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ფაქტი გეგეჭკორის რაიკოოპერატივის დიდი ჭყონის მაღაზიაში ჩადენილი დანაშაულის შესახებ დადასტურდა. დადგენილია, რომ ამ სოფლის მაღაზიის გამყიდველმა ი. ჯანაშიამ 1711 მანეთი, ხოლო შერეული მაღაზიის გამყიდველმა შ. ხარამიამ 2788 მანეთი მითვისეს. ეს დანაშაული დოკუმენტური რევიზიის შედეგად გამოვლინდა, მახალები კი შინაგან საქმეთა ორგანოებს გადაეცა. ამჟამად დანაკლისი მთლიანად დაფარულია. დამნაშავეები სამართლის წინაშე წარდგებიან.

სასამართლო დარბაზიდან

ქურდის მოკლე გზა

ზარინეაჩინის ქუდის ამბავი ხომ გაგიგონია, მკითხველო, დაიხურავ, გაუჩინარდები, რასაც გსურს მოიმოქმედებ...

მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში დიდხანს დადიოდა ხმა, რომ შახტმშენის სამმართველოს მუშას, სამოც წელს მიღწეულ, ცოლშვილიან კაცს გრიგოლ დავითის ძე ალფაიძეს ჯადოსნური ქუდი აქვსო, დაიხურავს — გაუჩინარდება, მერე... იქურდებს, კაცს გაფცქვნის, მაღაზიას გატეხავს, შემდეგ მოიხდის და... სამუშაოზე დარბაისლური ნაბიჯით წავა, მეზობლებს კეთილ სალამს მისცემს, ტკბილი ეხით მოიკითხავს.

ეს ამბავი, ვნებავთ, სერიოზულად მიიღეთ, ვნებავთ — ხუმრობად, ფაქტი ფაქტად რჩება. ვინიცის, რამდენი ქურდობა, ბოროტი საქმე ჩაიდინა ამ კაცმა...

21 წლის აკე კი იყო გრიგოლი, განსასჯელის სკამზე რომ დაჯდა. პატიმრობიდან დაბრუნდა თუ არა, სახელმწიფო ქონება მოიპარა და 6 წლით ისევ შრომგასწორების კოლონიაში უკრეს თავი, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. შემდგომ ორჯერ ჩაიდინა ქურდობა, რისთვისაც ჯერ 5 წელიწადი იხდიდა სასჯელს, მერე კი ორ-ნახევარს. 1975 წელს მეშახტეთა ქალაქს მოვლინა, ოჯახი შექმნა, მუშობაც დაიწყო, მეუღლეს, ნათესავებს შეეფიცა, (ეგდ საქმეს სათოფეზე არ გავეკარებიო. მაგრამ სწორედ ახლა მოიჩეგო უჩინმაჩინის ქუდი და ავკაცობის გაკეთილ გზას მიჰყვა.

მოდით, ნუ გამოვიდევნებით მის ძველ ცოდვებს, მხოლოდ ბოლო დროინდელ „მოღვაწეობას" დავჯერდეთ. დავიწყოთ გასული წლის 26 აპრილიდან, რეალიური დღესასწაულიდან. ქურდებს „ფანატიკურად სწამთ" ღმერთი, მაგრამ ამ რწმენამ ოდნავადაც არ შეაყოვნა გ. ალფაიძე. შეღამდა თუ არა, „მორწმუნე ქურდი" ოქტომბრის ქუჩა № 85-ში მცხოვრებ ვ. სტოროჟენკოს ბინას მიადგა. ნაცადი ხერხით კარები გატეხა, ბინაში შევიდა: ყველა ოთახი დაათვალიერა. ერთ მათგანში სუფრა იყო გაშლილი. რა გინდა, სულო და გულო, რა სასმელი, რა საჭმელი, მიუჯექი და მიირთვი. ჭიქა არყით შეავსო და გადაკრა, მერე გვარიანად დანაყრდა, ღმერთს მადლობა მოახსენა ტრაპეზისთვის და დატრიალდა, ყველაფერი გადაბრუნ-გადმოაბრუნა. ფული რომ ვერ იპოვა, ტანსაცმელს დარია ხელი, ტომრაში ჩაყარა და თავის ბინაში ამოაყოფინა თავი: ცოტა რომ შეისვენა, დაფიქრდა, „სინდისის ქენჯნამ" შეაწუხა, აღდგომა -დამეს ეს რა ცოდვა ჩავიდინეო და „განსაწმენდად" ქალაქის აბანოს მიაშურა. კარი რომ დაკეტილი დახვდა, ფანჯარაში გადაძვრა, შხაპს ონკანი კი მოუშვა, მაგრამ ეშმაკმა კვლავ აცდუნა და ფოიეში სავაჭრო კიოსკი გატეხა, არც სპარიკმახეროს ჯიხური დატოვა უყურადღებოდ. ცოდვილი ხელი ყაცარიფერს მისწვდა, თუ რაიმე ნივთს ღირებულება ჰქონდა, შეაგროვა და ოჯახში მიიტანა.

ქურდის მორიგი გასვლა რამდენიმე ხნის შემდეგ შედგა. ამ დღეს შახტმონტაჟის ოხნის მოლარე ხელფასს არიგებდა. დაუდევრობა გამოიჩინა და ფული სალაროში დატოვა. გ. ალფაიძესაც ეს უნდოდა. ღამით სალარო გატეხა და საკმაოდ დიდი თანხა — 1953 მანეთი დაითრია.

გ. ალფაიძისთვის საბედისწერო გამოდგა გასული ზაფხული. ერთ ლრუბლიან დღეს ქურდი თავის კარის მეზობელს მ. ბიბილაშვილის ბინას ეწვია. ამჯერად ოქროს ნივთები მოიპარა და გაუჩინარებას აპირებდა, მაგრამ ქუდის დახურვა „ვერ მოასწრო", შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა დააკავეს გ. ალფაიძე და მთელი მისი „ნამოღვაწარი" საბაჭაროაზე გამოიტანეს.

ქალაქ ტყიბულის სახალხო სასამართლომ გამოუსწორებელ ბოროტმოქმედს 10 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ყაცარიერეჟიმის კოლონიაში მოხდით. მასვე დააკისრა დაზარალებულ მოქალაქეებს 1175 მანეთი აუნაზღაუროს.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჭადრაკის დაფებთან

მოსკოვში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ა. ბელიავსკისა და გ. კასპაროვის — მეოთხედფინალური მატჩის მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა კასპაროვი, 25-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ანგარიშია 2:1 კასპაროვის სასარგებლოდ. დღეს მატჩის მეოთხე პარტია გაიმართება.

ტალინში გრძელდება პაულ კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება. მერვე ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლიდერობს ვასანიანი. ტალს 5 ქულა აქვს, ფსახისს და იანსას (ჩეხოსლოვაკია)—4,5-4,5 (თითო გადადებული), პეტროსიანს — 4 (1), აბრამოვიჩს (იუგოსლავია) და ოლს — 4-4, კიპრნერს და შუბას (რუმინეთი) — 3,5-3,5 (2-2), ბიოლშს (გდრ) — 3,5 (1), სეკელის (უნგრეთი)—3,5 (1), ელვესტს — 3 (2), ვეინგოლდს, ნეის და შიუსლერს (შვეიცია) —2,5-2,5, არნასონს — 2 (2).

ორ წელიწადში ერთხელ?!

ამ დღეებში ლინარესში (ესპანეთი) მყოფმა ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა (ფილიპინები) კორესპონდენტებს განუცხადა, რომ იგი აპირებს მსოფლიო პირველობის სისტემის რეფორმას. პრეზიდენტს სურს ფიდეს მორიგ კონგრესს წარუდგინოს პროექტი, რომლის ძალითაც მსოფლიო პირველობის მატჩები როგორც ვაკთა, ისე ქალთა შორისაც უნდა მოეწყოს არა სამ წელიწადში ერთხელ, როგორც ეს ამამდე იყო, არამედ ორ წელიწადში ერთხელ.

თუ პრეზიდენტის ეს პროექტი მიიღეს, მაშინ უნდა შეიცვალოს მსოფლიო პირველობის ჩატარების მთელი სისტემა (ზონალური ტურნირები, საზონთაშორისო ასპარეზობა და ა. შ.).

საგურნირო ორბიტა

ფუალბურთი. მოსკოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების (საუკეთესო ექვსეული) საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩები. შეჯიბრების მეორე დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: მოსკოვის „დინამო"-თბილისის „დინამო" — 10:9, ალმა-ათის „დინამო"-სამხე დ რ ო-ა ზ ღ ვ ა ო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — 6:7, მოსკოვის უნივერსიტეტი-მოსკოვის „მოსკვიჩი" — 14:4.

ძალოსნობა. ოდესაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე დღე არ გავა, რომ ახალი რეკორდი არ დაამყარონ სპორტსმენებმა. 67,5 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში კალინინელმა ვ. გრაჩოვმა ატაცში თავდაპირველად საკავშირო რეკორდი გაუუმჯობესა (152,5 კგ), შემდეგ კი დამატებით ცდაზე — მსოფლიოსი (154 კგ). 75 კილოგრამამდე წონაში კი ამანჯვა კრასნოდარელმა ვ. კუზნეცოვმა. მან ატაცში 163,5 კგ დაძლია და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 82,5 კილოგრამამდე წონის ათლეტებს შორის ორჯიდში პირველობა მოიპოვა ანდიეახელმა ნ. ბუხამედიაროვმა (367,5 კგ).

კალათბურთი. მოსკოვში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ცსკამ მიიღო ბაგრების „ციბონა". ვაკთა გუნდების ამ შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელებმა — 95:78.

ვაკთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის კიევში გამართული პირველი მატჩი ადგილობრივმა „სტროიტელმა" მოუგო მოსკოვის „დინამოს" — 91:86. განმეორებით შეხვედრა მოეწყობა მოსკოვში.

ხელბურთი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების გასამართავად იმყოფება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი სამი შეხვედრა მოიგეს: „ჟორნვეიისტხა